

დადგენილება - № 114/2021 - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალობებზე სწავლის ღირებულების განსაზღვრის შესახებ

დადგენილება № 114/2021
თარიღი: 08 ოქტომბერი, 2021 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 81-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 08 ოქტომბრის № 45 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 45),

აკადემიური საბჭოს ადგენს:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალობებზე სწავლის წლიური საფასური განისაზღვროს 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით;
2. წინამდებარე დადგენილების პირველის პუნქტიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილ იქნეს კონსერვატორიის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალობებზე საფასურის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობაზე მეტი ოდენობით განსაზღვრისათვის კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
3. შეჩერდეს „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამაგისტრო საფეხურზე სპეციალობების შესაბამისად სწავლის გადასახადის გაზრდის თაობაზე განხილვისა და წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად წარდგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 26.02.2021 წლის No 17/2021 და ”სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამაგისტრო საფეხურზე სპეციალობების შესაბამისად სწავლის გადასახადის გაზრდის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 თებერვლის No17/2021 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 12.03.2021 წლის No 27/2021 დადგენილებების მოქმედება;
4. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეგზავნოს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობით საბჭოს;
5. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge.
6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის

საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

7. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

